ერთი გადამწყვეტი ბურთი

“დინამო” თბილისი _ “დინამო” მოსკოვი

29 მაისი. მრავალათასიანი მაყურებელი მოუთმენლად ელის მოსკოვისა და თბილისის დინამოს გუნდების მატჩის დაწყებას. მოსკოველები მოედანზე ძირითადი შემადგენლობით გამოვიდნენ. თბილისელთა გუნდში კი საგრძნობი ცვლილებებია: ნახევარდაცვის ხაზი ახალგაზრდობას ჰქონდა ჩაბარებული, ხოლო მარცხენა ფრთაზე გრამატიკოპულო იყო. პანიუკოვი კვლავ დაუბრუნდა თავდასხმის ხაზს.

თამაშს სტუმრები იწყებენ და მაშინვე სახიფათო მომენტი იქმნება მათ კართან. თბილისელთა თავდასხმა ზუსტი და სწრაფი კომბინაციებით თამაშობს. სტუმრების დაცვა და ნახევარდაცვა თავგამოდებით იცავენ კარს. მახარაძე, პანიუკოვი და ღოღობერიძე ხშირად იცვლიან ადგილებს და მოულოდნელად გადააქვთ ბურთი ერთი ფრთიდან მეორეზე, მე-14 წუთზე ლ. სოლოვიოვმა შორიდან წინ გაგზავნა ბურთი. სავდუნინი გაუსხლტა დამცველებს, მიიღო გადაცემა და სწრაფად გაიჭრა კარისაკენ, პირისპირ დარჩა მარღანიასთან და ძლიერად დაარტყა. მეკარემ მხოლოდ ფეხით დააბრუნა ბურთი, რომელსაც მოუსწრო ილინმა და თბილისელთა ბადეში მოაქცია.

თბილისელები ისევ უტევენ. სრული დატვირთვით მუშაობს სტუმრების დაცვა. დროულად და მოფიქრებულად მოქმედებს ხომიჩი. მოედნის შუა ნაწილი თბილისის “დინამოს” ნახევარდამცველების გარიშვილისა და ტანტიბას კონტროლის ქვეშაა. თავდასხმაში კარგად თამაშობს მახარაძე. პანიუკოვი ღრმა რეიდებს აკეთებს ზურგში და განაგრძობს ღოღობერიძის დაწყებულ კომბინაციებს.

საინტერესოა ორივე გუნდის ტაქტიკა. მოსკოველები შეტევას შორიდან, მოედნის შუაგულიდან იწყებენ. ჩვეულებრივ მას ნახევარდამცველი იწყებს, განაგრძობს ინსაიდი, ბურთი შუაგულიდან ტეხილი ხაზით მიდის ფრთაზე და სწრაფად გადადის ისევ ცენტრში, მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანზე.

თბილისელებს სხვა ტაქტიკა აქვთ: შეტევას თავდამსხმელები იწყებენ და, მიიღებენ რა ბურთს, ისინი გაშლილი ფრონტით ერთად მიისწრაფიან წინ. ღოღობერიძე ნახევარდამცველებთან ერთად “მეორე ეშელონს” ქმნის, ხოლო დამცველები, განსაკუთრებით სარჯველაძე, მესამე ხაზად მიყვება შეტევას. ეს ქმნის ტალღისებურ მოძრაობას, ხშირად, თუ თავდასხმა კარგავს ბურთს, მეორე ხაზი _ ნახევარდაცვა განაგრძობს იერიშს.

მთავრდება თამაშის პირველი ნახევარი.

მეორე ტაიმი ისევ თბილისის “დინამოს” უპირატესობით დაიწყო. მე-5 წუთზე მახარაძე სწრაფად გავიდა ორ დამცველს შუა და მხოლოდ ხომიჩის გაბედულმა ნახტომმა იხსნა კარი. ორიოდე წუთის შემდეგ ძლიერად ურტყამს ზაზროშვილი. ბურთი ოდნავ აცდა კარს.

თბილისელები მეტწილად მარჯვენა ფრთიდან უტევენ. ზაზროშვილი და პანიუკოვი მოკლე გადაცემებით ხშირად გადიან საჯარიმო მოედანზე, შემდეგ აწოდებენ მახარაძეს, ის კარგად “ამუშავებს” ბურთს და უბრუნებს პარტნიორებს. 90 წუთის განმავლობაში მრავალი კომბინაცია გაითამაშეს მათ, მაგრამ სულ რამდენჯერმე დაარტყეს კარში. არც მარღანიას ჰქონია ამ დღეს დიდი დატვირთვა. მოსკოველებმა მინიმალური ანგარიში (1:0) ბოლომდე შეინარჩუნეს.

თბილისი “დინამომ” ეს მატჩი კარგად ჩაატარა. გუნდში არ იყო არც ერთი სუსტი ადგილი, რადგან შემადგენლობის ახალი ვარიანტი კარგია. თბილისის

“დინამომ” მხოლოდ იმიტომ, რომ თავდამსხმელები იშვიათად და არაზუსტად ურტყამდნენ კარში, მატჩი წააგო.

ბ. ქორქია.
“ახალგაზრდა კომუნისტი”, 31 მაისი, 1949 წ.